ბიზნესის განვითარება და მოსახლეობის ცხოვრების დონე საქართველოს რეგიონებში

ნატო ნატროშვილი
მარინა თოფჩიშვილი
სტუ-ს დოქტორანტები

ცნობილია, რომ იმ რეგიონებში, სადაც ბიზნესი განვითარებულია, მოსახლეობა უკეთ ცხოვრობს, ვიდრე სხვაგან. განსაკუთრებით ეს ეხება ბიზნესში ჩართულ ადამიანებს, ანუ ბიზნესშრეს. პროფესორი ევგენი ბარათაშვილი, მის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე წერს: „ბიზნესშრის წევრი მოქალაქეები საგრძნობლად უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა. ბიზნესში დასაქმებულებში ორჯერ ნაკლებია ღარიბები, ვიდრე იმ პირებში, რომლებიც ბიზნესთან არ არიან დაკავშირებულნი". (1, გვ. 663). იმავე აზრისაა პროფესორი რამაზ აბესაძე. იგი წერს: „მოსახლეობის ცხოვრების დონე, ანუ ის, თუ როგორ ცხოვრობენ, როგორ იკმაყოფილებენ ადამიანები თავიანთ მოთხოვნილებებს, დამოკიდებულია არა ერთ ფაქტორზე, რომელთაგან უმთავრესია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების არსებული მდგომარეობა". (2, გვ. 203). ბუნებრივია, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მდგომარეობას ძირითადში განსაზღვრავს ბიზნესის განვითარების დონე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ცხოვრების დონის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლად გვევლინება რეალური შემოსავლები. ეს მაჩვენებელი არა თუ ქვეყნების მიხედვით, არამედ ქვეყნის შიგნითაც კი – რეგიონების ჭრილში, განსხვავებულია. არსებობენ ღარიბი რეგიონები, საშუალო და მდიდარი რეგიონები.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე სიღარიბის არსებობას განაპირობებს მწირი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, ტექნოლოგიების დაბალი დონე, ბიზნესის არსაწორი მართვა-რეგულირება, მაგრამ ჩვენის აზრით, მისი მთავარი მიზეზი მაინც ადამიანები არიან, კერძოდ მათი არასაკმარისი მეწარმული და პროფესიული უნარი, ნებისყოფა, მისწრაფება, რისკი და სხვა მათთან დაკავშირებული ფაქტორები. მრავალი ქვეყნის მაგალითის მოყვანა შეიძლება (მაგალითად, „აზიის ვეფხვებად" წოდებული სინგაპური, ჰონკონგი, ტაილანდი, სამხრეთ კორეა) რომელთაც არც ბუნებრივი რესურსი ჰქონდათ და არც ახალი ტექნოლოგიები, მაგრამ მათმა მოსახლეობამ თავიანთი მიზანდასახულობით, მისწრაფებით ახლისა და უახლესისკენ, მტკიცე ნებისყოფით, რისკისადმი მზადყოფნით ახალი ტექნოლოგიებიც შექმნეს და მეწარმული უნარიც გამოიმუშავეს. ასე რომ, ჩვენი ღრმა რწმენით, ბიზნესის განვითარებაში მთავარი არის ადამიანური კაპიტალი და იმის მტკიცება, რომ საქართველოს დეპრესირებული რეგიონების (გურია, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სხვები) სიღარიბეს განაპირობებს მათი მწირი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, არასწორია. პლანეტაზე არ არსებობს ადგილი, რომელსაც განავითარებს რაიმე საშუალება არ ქონდეს. უფალმა ყველა მის შექმნილს – როგორც ცოცხალს, ისე არაცოცხალ ბუნებას, მისცა არსებობის და განვითარების წყარო, საჭიროა მხოლოდ მისი აღმოჩენა და გამოყენება. ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოს თითოეულ რეგიონს განვითარების საკუთარი შესაძლებლობები აქვს და მათი ამოქმედება არის საჭირო. ზოგან ეს მართლაც ნაყოფიერი მიწა იქნება (მიწათმოქმედების განსავითარებლად), ზოგან ნაყოფიერი საძოვრები (მესაქონლეობის განსავითარებლად), ზოგან დასასვენებელი და გასართობი ადგილები (ტურიზმის განსავითარებლად), ზოგან მზის და ქარის ენერგია (ელექტრო ენერგიის გამოსამუშავებლად), ზოგან სამკურნალო წყლები და ტალახები (სამკურნალო-ბალნეოლოგიური ინდუსტრიის შესაქმნელად) და ა.შ. მათი გამოვლენა რთული არ არის. საჭიროა მხოლოდ ადგილობრივი მართვის და თვითმართველობის ორგანოები სისხლხორცულად დაინტერესდნენ თავიანთი რეგიონების პოტენციალის გამოკვლევით, დაიხმარონ ამ საქმეში ადგილობრივი მოსახლეობაც და შესაბამისი დარგის მეცნიერებიც – გეოგრაფები, გეოლოგები, რეგიონალისტები, სასოფლო, სატყეო, ტურიზმის და სხვა დარგების სპეციელისტები. მაშასადამე, საქართველოს თითოეული რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის შესასწავლად საჭირო იქნება კომპლექსური კომისიის მუშაობა, რომლის ინიციატორი და რეალიზატორი ამ რეგიონის მართვის ადგილობრივი ორგანო იყოს. არ იქნება ურიგო, თუ ამის ინიციატივა ცენტრალური ხელისუ-

ფლებიდანაც წამოვა, როგორც ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ისე დაფინანსების მხრივ ეს უფრო დააჩქარებს ამ პროცესს.

ჩვენი ეს წინმსწრები წინადადება გამომდინარეობს იმ კვლევიდან, რომელიც ჩვენ საქართველოს რეგიონებში ბიზნესის განვითარების მდგომარეობის და მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებლებზე ჩავატარეთ (ცხრილი 1). ამ გამოკვლევებით გამოჩნდა, რომ 2005-2012 წლებში სამეწარმეო ბრუნვა საქართველოს ყველა რეგიონში არის გაზრდილი; ასევე გაზრდილია ერთ დასაქმებულზე მიღებული შემოსავალიც. მთლიანად საქართველოში სამეწარმეო ბრუნვა 3-ჯერ არის გაზრდილი, შემოსავალი ერთ დასაქმებულზე კი 3,5-ჯერ. 3-ჯერ და მეტად.

არის ბრუნვა გაზრდილი გურიაში, იმერეთში, სამცხე-ჯავახეთში და ქვემო ქართლში. შესაბამისად, თითქმის ამდენითვეა ამ რეგიონებში გაზრდილი შემოსავალიც. გამონაკლისია თბილისის, აჭარის, კახეთის და შიდა ქართლის რე-

ცხრილი 1

სამეწარმეო საქმიანობის ბრუნვა და რეალური შემოსავლების მოცულობა ბიზნესში ერთ დასაქმებულზე ანგარიშით

	2005		2012		დინამიკა 2005–2012 წწ	
	სამეწარმეო ბრუნვა, ლარი	თვიური შემოსავალი, ლარი	სამეწარმეო ბრუნვა, ლარი	თვიური შემოსავალი, ლარი	ბრუნვის ზრდა %	შემოსავლის ზრდა %
სულ საქართველოში	25907	204,5	78683	714,3	303,7	350
ქ.თბილისი	33616	229,4	93401	828,3	277,6	361
აფხაზეთის არ	...	...	...	...	...	...
აჭარის არ	19518	179,7	53156	536,7	272,4	300
გურია	11138	90,7	37417	264,4	336,0	290
იმერეთი	13550	123,9	43044	481	317,6	388
კახეთი	14493	99,9	39732	384	274,1	384
მცხეთა–მთიანეთი	20520	223	61438	574,1	299,4	257,4
რაჭა–ლეჩხუმი	9565	162,3	17978	300,1	187,9	185,2
სამეგრელი–ზემო სვანეთი	21777	202,5	51044	527,4	234,4	239,6
სამცხე–ჯავახეთი	18243	153	53585	441,3	293,7	288,2
ქვემო–ქართლი	23199	198	74798	663,0	322,4	334,8
შიდა ქართლი	24250	117,5	69967	436,1	288,4	372,6

გაანგარიშებულია ჩვენს მიერ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით

გიონები. თბილისში ბრუნვა 2,8–ჯერ არის გაზრდილი, შემოსავალი კი 3–ჯერ, კახეთში ბრუნვა 2,7-ჯერ არის გაზრდილი, შემოსავალი კი 3,8-ჯერ, შიდა ქართლის ბრუნვა 2,9-ჯერ არის გაზრდილი, შემოსავალი კი 3,7-ჯერ. რაჭა ლეჩხუმში ბრუნვაც და შემოსავალიც 1,8-ჯერ გაიზარდა, სამეგრელო-ზემო სვანეთში კი 2,3-ჯერ.

2005–2012 წლებში სამეწარმეო ბრუნვის და საშუალო შემოსავლების ყველაზე დაბალი ზრდა დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმში; 187,9 და 185,2 %, ხოლო გურიის რეგიონმა აჩვენა ბრუნვის ყველაზე მაღალი ზრდა (336%), თბილისმა კი შემოსავლისა (361%).

ამრიგად, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ როცა რეგიონში ვითარდება ბიზნესი და იზრდება მისი ბრუნვა, იზრდება მოსახლეობის შემოსავლებიც. ამდენად, საქართველოს იმ რეგიონებმა, რომელთაც შედარებით ნაკლებად გაზარდეს სამეწარმეო ბრუნვა (მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმის რეგიონი) მაგალითი უნდა აიღონ კარგად განვითარებული რეგიონებიდან (ასეთებია, იმერეთი, ქვემო ქართლი), რათა მათი მოსახლეობის შემოსავალიც მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

უკვე 20 და მეტი წელია, რაც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. ამის მიზეზი შრომისუნარიანი მოსახლეობის ინერტულობაცაა და ქვეყნის მთავრობის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკაც, კერძოდ ეკონომიკის არაპროგრესული სტრუქტურა–მცირე და საშუალო ბიზნესის და ეკონომიკის რეალური სფეროს განუვითარებლობა, კერძო საკუთრების დაუცველობა და მრავალი სხვა. ჩვენი წინადადების მიზანი იმაში კი არ არის, რომ საქართველოს თითოეულმა რეგიონმა პროდუქციის ან მომსახურების ყველა სახეობის მიხედვით საკუთარი პოტენციალის ხარჯზე თვითუზრუნველყოფას მიაღწიოს, არამედ იმაში, რომ განავითაროს ის დარგი და ქვედარგი, რომელიც მას პროდუქციის წარმოების შეფარდებით უპირატესობას აძლევს. ეს პასუხობს როგორც ეროვნული, ისე გლობალური ეკონომიკის საერთო მოთხოვნებს, და, ამასთან ეს არის მსოფლიოში სიღარიბის დაძლევის პრაქტიკულად გამოცდილი გზა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი, ჯ. ზარანდია, ა. აბრალავა. „რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა". თბ., 2009.
2. ი. აბესაძე. „მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში". საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები. მე-11 ტომი. თბ., 2013.

BUSINESS DEVELOPMENT AND LEVEL OF LIVING OF THE POPULATION IN THE REGIONS OF GEORGIA

NATO NATROSHVILI
Doctoral Candidate of GTU

The article is about the relation between business development and the level of living of the population. It is noted that main indicator of the level of living is real incomes. Thus, business turnover in the regions of Georgian and the dynamics of increase in the population's incomes are analyzed in the article. It has been defined that where the turnover increased, the income was increasing as well. All the twelve regions have been studied. It is less increased in Racha-Lechkhumi and Samegrelo-Zemo Svaneti. The same situation is in Samtskhe-Javakheti. The both of these regions are considered as depressed regions. Like all the regions of Georgia they have undeveloped business resources which will serve as an advantage of their production or service in relation with other regions.

The following conclusion has been made from the analysis: less developed regions in business must take care of development of local resources and overcome the poverty in the region in this way.